

-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 24 მაისის სხდომის

ოქმი #4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 24 მაისის შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 38 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე და გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი გ. ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადება;
2. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
3. სტუდენტური საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ;
4. სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;
5. საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დამტკიცების შესახებ;
6. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოც. პროფ. რამაზ ხომერიკმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების პროექტი, რომელიც წინასწარ იყო დაგზავნილი (დანართი1) და შესთავაზა კენჭი ეყარათ ამ საკითხისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - პროგრამული ცვლილებების შესახებ. ცვლილებების შესახებ ისაუბრა მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ომარ ფურთუხიამ. ცვლილებები ითვალისწინებდა მათემატიკის სადოქტორო პროგრამაში შემავალი ორი საგანის სტატუსის შეცვლას პროგრამის ოპტიმიზაციის მიზნით, ასევე მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის ზოგიერთი

სილაბუსის მოდიფიცირებას კორესპონდენციული სწავლებისთვის. კერძოდ, მსჯავრდებული სტუდენტისათვის კორესპონდენციული სწავლების საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდეს დასწრება/აქტიურობა/პრეზენტაციის ქულების განაწილება/ჩანაცვლება დანართის შესაბამისად. ცვლილებები შევიდა ასევე მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობებში და დაზუსტდა მიღების წინაპირობები გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაში (იხ. დანართი 2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: პროგრამული ცვლილებები დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები მათემატიკის სადოქტორო და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - სტუდენტური საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ. საკითხის შესახებ მასალები საბჭოს წევრებს წინასწარ დაეზავნათ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ. ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ მე-12 ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩატარდეს 2024 წლის 15-18 ივლისის პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ვადების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: მე-12 ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩატარდეს 2024 წლის 15-18 ივლისს.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ მასალები საბჭოს წევრებს წინასწარ დაეზავნათ. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ. ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მათემატიკის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტთა სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მათემატიკის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამების დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მათემატიკის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოთვლილ დოქტორანტთა სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები:

- მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- 1. გიორგი ბუყულუაშვილი

სადისერტაციო თემა: მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის გამოკვლევის, რიცხვითი ალგორითმების შექმნისა და მათი რეალიზაციის შესახებ;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ ვაშაყმაძე, ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური მოდელირებისა და რიცხვითი მეთოდების განყოფილების ხელმძღვანელი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ ემერეტუს პროფესორი;

2. გოგი კეჟერაძე

სადისერტაციო თემა: ტრიგონომეტრიული მწკრივების და ინტეგრალების კრებადობისა და შეჯამებადობის ზოგიერთი საკითხი;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ ახობაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

3. ვალერი ბერიკაშვილი

სადისერტაციო თემა: დიდ რიცხვთა კანონი სუსტად კორელირებული შემთხვევითი ელემენტებისათვის L_p სივრცეებში $1 \leq p < \infty$;

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ვახტანგ კვარაცხელია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი; ომარ ფურთუხია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პროფესორი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.;

4. მარიამ კობრიძე

სადისერტაციო თემა: რაინერის დრეკადი მასალებისათვის იერარქიული მათემატიკური, ფიზიკურად არაწრფივი, მოდელების აგება და გამოკვლევა;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ჯაიანი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი; თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

5. ფრიდონ ალშიბაია

სადისერტაციო თემა: ტემპორალური ინტუიციონისტური ლოგიკის ალგებრული ანალიზი;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ გრიგოლია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

➤ გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

1. ანა არსენაშვილი

სადისერტაციო თემა: საქართველოში ვაზის ტერიტორიული განაწილების რეტროსპექტიული კარტოგრაფირება ძველი წყაროების მიხედვით;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დალი ნიკოლაიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

2. საბა მოდებამე

სადისერტაციო თემა: სპორტის ატლასური კარტოგრაფირების მეთოდოლოგია და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა (საქართველოს მაგალითზე);

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თ.გორდეზიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

3. თამარ წამალაშვილი

სადისერტაციო თემა: რისკების და საფრთხეების გათვლა ჰიდროლოგიურ მოდელირებაში;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კერესელიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

4. დავით მეურმიშვილი

სადისერტაციო თემა: მთის მდინარის ჩამონადენის მოდელირება;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კერესელიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

5. გიორგი ზედგინიძე

სადისერტაციო თემა: ქვემო ქართლის მდინარეთა აუზებში ეროზიული პროცესების განვითარების პროგნოზირება;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: დავით კერესელიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, და დოქტორი გ.გოგიჩაიშვილი, გარემოს ეროვნული სააგენტო;

6. შალვა აბრამიშვილი

სადისერტაციო თემა: კულტურული ლანდშაფტები: მეთოდოლოგია და პრაქტიკა;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ელიზბარაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

7. თელა ქავთარაძე

სადისერტაციო თემა: სასკოლო გეოგრაფიული განათლების მეთოდოლოგია და პრაქტიკა;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ელიზბარაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

8. ლუკა დავითაშვილი

სადისერტაციო თემა: საქართველოში გზების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი და განვითარების პერსპექტივები;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ელიზბარაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

9. ლუიზა ბუბაშვილი

სადისერტაციო თემა: საქართველოს საავტომობილო გზების მოდერნიზაციის გეოგრაფიული თავისებურებები და მდგრადი განვითარების პრობლემები;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ელიზბარაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

10. ირმა მაკალათია

სადისერტაციო თემა: აჭარის სანაპირო ზონის მორფოდინამიკა და თანამედროვე მიდგომები;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: დავით კერესელიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, და კახაბერ ბილაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

11. მარიამი მოდრეკელიძე

სადისერტაციო თემა: კახეთის რეგიონის აგრომეტეოროლოგიური შეფასება დისტანციური ზონდირების გამოყენებით;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ლამზირა ლალიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, და გიორგი ღამბაშიძე, აიპ ქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის ასისტენტ პროფესორი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრი, ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის ლაბორატორიის უფროსი.

➤ **გეოლოგიისა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

1. ბექა ედიბერიძე

სადისერტაციო თემა: წალკის პლატოს ახალგაზრდა ვულკანიზმი (მცირე კავკასიონი, საქართველო);

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ვაშაკიძე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტი;

2. რაბი გაბრიელაშვილი

სადისერტაციო თემა: კავკასიონის სვანეთის სეგმენტის პლუტონური მაგმატიზმი და მისი მეტალოგენური პოტენციალის შეფასება;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: კარლო აქიმიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, და ავთანდილ ოქროსცვარიძე, მეცნიერებათა დოქტორი, ა.ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტი;

3. მაია აფხაზავა

სადისერტაციო თემა: აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-რღვევითი სარტყლის ოქრო-პოლიმეტალური გამადნების აგებულება და ტიპიზაცია ღართას მადანგამოვლინების მაგალითზე;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნინო სადრაძე, გეოლოგიის აკადემიური დოქტორი, ა.თვალჭრელიძის სახ. კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი;

4. ლევან ლომსაძე

სადისერტაციო თემა: აჭარა-თრიალეთის (მცირე კავკასიონი) ცენტრალური ნაწილის შუაეოცენური აუზის ფაციესური არქიტექტურა და ევოლუცია;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: კარლო აქიმძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, და ზურაბ ლებანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

➤ გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

1. სოფიკო მათიაშვილი

სადისერტაციო თემა: რადიო-ეკოლოგიური კვლევა ქვემო ქართლის სამრეწველო ზონების ნიადაგებში;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ლია მაჭავარიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის გამგე, და ზაურ ჩანქსელიანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

2. ნოდარ ხუჯაძე

სადისერტაციო თემა: რეგიონული კონტრასტები ტყის ეკოსისტემების დინამიკაში: ნახშირბადის სეკვესტრირებისა და მართვის სტრატეგიები;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ლია მაჭავარიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის გამგე.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ მასალები საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ. ბატონმა ვ. ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ფაკულტეტის შვიდივე დეპარტამენტის საბაკალავრო და სამაგისტრო თემების ჩამონათვალი.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ნ. კოშორიძემ, დ. ძიმიგურმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბაკალავრო და სამაგისტრო თემების ჩამონათვალის დამტკიცების საკითხი (იხ. დანართი 3).

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის შვიდივე დეპარტამენტის საბაკალავრო და სამაგისტრო თემები (იხ. დანართი 3).

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე - მიმდინარე საკითხები. აქ განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ა) გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის **მარინა ჩიჩუას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცება;
 - ბ) აკად. ნოდარ კველიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლების დანიშვნა;
 - გ) მაგისტრატურაში მიღების გასაუბრების კრიტერიუმების დამტკიცება.
- ა) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის **მარინა ჩიჩუას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების სიები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის **მარინა ჩიჩუას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: წარმოდგენილი სიები დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს “გამოყენებითი ეკოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის **მარინა ჩიჩუას** სადისერტაციო ნაშრომის “საზოგადოების როლი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში” რეცენზენტებად და დაცვის კომისიის წევრებად:

რეცენზენტები:

- ა) გიორგი მელაძე – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
- ბ) ზაალ კიკვიძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. ზურაბ სეფერთელაძე – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი;
2. მკვა მურვანიძე – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

3. დალი ნიკოლაიშვილი – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;
4. ნანული დორეული – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
5. ლამზირა ლალიძე – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;
6. გურამ ქუთელია – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, გეოლოგიის დოქტორი;
7. გიორგი მახარაძე – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, ქიმიის დოქტორი;
8. გიორგი ბრეგვაძე – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;
9. გიორგი ლომინაძე – ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ მკვლევარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – გეოგრაფიის დოქტორი.

ბ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა აკად. ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის ინსტიტუტში თანამშრომლებად (ანაზღაურების გარეშე) დასანიშნი კანდიდატურები - მარინა ყიფიანი და სოფიო ჯალაღონია.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული კანდიდატურების აკად. ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლებად დანიშვნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დაინიშნონ აკად. ნოდარ კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლებად (ანაზღაურების გარეშე):

- მარინა ყიფიანი - ნივთიერებათა ფიზიკური თვისებების კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე;
- სოფიო ჯალაღონია - მყარი სხეულების ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების მეცნიერ- მკვლევარის პოზიციაზე.

გ) ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველად გამოიტანა მაგისტრატურაში მიღების გასაუბრების კრიტერიუმები. კრიტერიუმები წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

აზრი გამოთქვას: საბჭოს წევრებმა სურვილი გამოთქვეს დამტკიცებამდე დაწვრილებით განეხილათ კრიტერიუმები. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, მ. ხაჩიძემ, თ. დავითაშვილმა, დ. ძიმიგურმა, ო. ფურთუხიამ. პროფესორმა ნ. შათაშვილმა დაწვრილებით ისაუბრა იმ ცვლილებების შესახებ, რაც მიზანშეწონილია რომ შევიტანოთ დოკუმენტში.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კორექტირებული დოკუმენტის დამტკიცების საკითხი (იხ. დანართი 4).

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია - მომხრე 13, წინააღმდეგი 10.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურაში მიღების გასაუბრების (დარგობრივი ცოდნის შეფასების) კრიტერიუმები (იხ. დანართი 4).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

